



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

| | | | |
|---------------|--------------------------------------|---------------|-----------------------|
| მატჩი | რუსთავის „ხარები“ - თბ. „ლოკომოტივი“ | | |
| გუნდი | თბ „ლოკომოტივი“ | შეჯიბრი | დიდი 10 |
| მატჩის თარიღი | 28/11/2021 | მატჩის ადგილი | რუსთავის სარაგბო ბაზა |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|--------------------|---|------------------|--|
| მოთამაშე/პიროვნება | მოთამაშე | დაბადების თარიღი | 1/11/1994 |
| სახელი, გვარი | ფარნავაზ გასვიანი (#8) | | |
| მომჩივანი | მატჩის საითინგ კომისარი ლაშა მაჭავარიანი | საჩივარი | ✓ მიღებულია უარყოფილია |
| დარღვევა | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1 9.20 - სახიფათო თამაში რაქში ან მოლში. ბ) მოთამაშე არ უნდა შევიდეს კონტაქტში მოწინააღმდეგის მხარის ხაზს ზემოთ | წითელი ბარათი | საითინგი სხვა ✓ თუ „სხვა“ აღწერეთ : |

| განხილვის დეტალები | | | |
|--|--|-------------------|---------------------------------------|
| განხილვის თარიღი | 01/12/2021 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ.ამირეჯიბის #6 |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყეზია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე. | | |
| დამრღვევის დასწრება | ✓ კი არა | სხვა დამსწრეები : | კი არა |
| დამრღვევის წარმომადგენელი | ი.დავითაშვილი. თბ „ლოკომოტივი“-ს მენეჯერი. | აღნიშნუთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | 1. მატჩის საითინგ კომისარის, ლაშა მაჭავარიანის საითინგი 29/11/2021 2. ინციდენტის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასლა. | | |



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის საითინგ კომისარის ლაშა მაჭავარიანის საითინგი 29/11/2021
2. საითინგში აღნიშნული დისციპლინარული დარღვევის ამასახველი ფოტო და ვიდეო მასალა.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

01/12/2021, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, დამრღვევმა მოთამაშემ, ფარნავაზ გასვიანმა აღიარა სადისციპლინო დარღვევა, დაეთანხმა მატჩის საითინგ კომისიის საითინგში აღწერილი დარღვევის შეფასებას და წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის შესახებ. ფ.გასვიანმა განმარტა, რომ მას ჰქონდა თამაშის წესების დარღვევიდან თავის შეკავების ვალდებულება (მისი გუნდი გაფრთხილებული იყო მსაჯის მიერ გახშირებული ჯარიმების გამო). თამაშის წესის დარღვევა გამოწვეული იყო მისი მხრიდან წინდაუხედაობის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 28 ნოემბერს გაიმართა დიდი 10-ს კალენდარული მატჩი რუსთავის „ხარები“-სა და თბ“ლოკომოტივი“-ს შორის.
2. 2021 წლის 29 ნოემბერს ზემოაღნიშნული მატჩის საითინგ კომისარმა, ლაშა მაჭავარიანმა, მიმართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. ლაშა მაჭავარიანის საითინგში და მოწოდებულ ვიდეომასალაში აღწერილია თამაშის დროს თბ „ლოკომოტივი“-ს მოთამაშის ფარნავაზ გასვიანის (#8) მხრიდან სავარაუდო თამაშის წესების დარღვევა (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1, პუნქტი 9.20 სახიფათო თამაში რაქში ან მოლში), კერძოდ თამაშის 56-ე წუთზე თბ“ლოკომოტივი“-ს # 8-მ (ფარნავაზ გასვიანი), რაქში თამაშისას, უხეშად, თამაშის წესის დარღვევით, მხრით დაეჯახა მოწინააღმდეგეს სახის არეში. საითინგ კომისიის განმარტებით ინციდენტამდე რამოდენიმე წუთით ადრე მსაჯს მიცემული ჰქონდა დამრღვევი მოთამაშის გუნდისთვის საერთო გაფრთხილება გახშირებული ჯარიმების გამო.
3. აღნიშნული ინციდენტის ამსახველ ვიდეო მასალაში აშკარად ჩანს თბ „ლოკომოტივი“-ს #8-ს (ფარნავაზ გასვიანი) მიერ რაქში თამაშისას კონტაქტი მარცხენა მხრით მოწინააღმდეგის სახის არეში.
4. დაზარალებულ მოთამაშეს (რუსთავის „ხარები“-ს #6 ლ.გოგიაშვილი) არ დასჭირდა სამედიცინო პერსონალის დახმარება და განაგრძო თამაში.



| გადაწყვეტილება | | | |
|--------------------|----------------|------------|----------------|
| დარღვევის სტატუსი: | ✓ მიღებულია | უარყოფილია | სხვა (აღწერეთ) |

სადისციპლინო კომისიამ დისციპლინარული დარღვევის ფაქტობრივი მოცემულობების განხილვისას იხელმძღვანელა სკრ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-თ, კერძოდ 9.20 სახიფათო თამაში რაქში ან მოლში - „ბ) მოთამაშე არ უნდა შევიდეს კონტაქტში მხარის ხაზს ზემოთ“ და დისციპლინარული დარღვევის სიმძიმე, სკრ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს შენიშვნის (ნებისმიერი თამაშის წესის დარღვევა გამოწვეული კონტაქტით თავის და/ან კისრის არეში განიხილება მინიმუმ "შუა ზღვარის" შესაბამისი სანქციით) მიხედვით შეაფასა როგორც „შუა ზღვარი“.

სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები - დამრღვევი მოთამაშის სუფთა სადისციპლინო ისტორია, სადისციპლინო კომისიის სხდომის დროს დარღვევის აღიარება, სინანულის გრძნობის დემონსტრირება და დარღვევის „შუა ზღვარის“ შესაბამისი სანქცია შეამცირა 50%-თ.

| სანქცირების პროცედურა | |
|---|----------------------------------|
| დარღვევის სიმძიმის შეფასება | |
| სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული | |
| შეგნებული/წინასწარ განზრახული | ✓ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი |
| დარღვევის გამომწვევი მიზეზი | |
| მოთამაშის გაუფრთხილებელი ქმედება რაქში გადაყრის დროს | |
| დამრღვევის მოქმედების სიმძიმე: | |
| საშუალო | |
| მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): | |
| მხარით კონტაქტი მოწინააღმდეგის სახის არეში. | |
| ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას: | |
| არა | |
| სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული: | |
| არა | |



| |
|---|
| მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): |
| არა |
| რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): |
| არა |
| დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე |
| არა |
| დაშავებულის დაცულობის ხარისხი |
| |
| დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი; |
| დამრღვევ მოთმაშე გააჩნდა წინასწარი განსჯის უნარი |
| შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; |
| კი |
| დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. |
| არა |

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით

| |
|---|
| ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი 4(ოთხი) კვირა ქვედა ზღვარი კვირა |
|---|

*ზედა ზღვართი შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

| |
|------------------------------------|
| ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება: |
| არა |



შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

| | |
|---|---|
| დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; | დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია; |
| სადისციპლინო კომისიის სხდომის დროს დარღვევის აღიარება და სინანულის გრძნობის დემონსტრირება | სუფთა სადისციპლინო ისტორია |
| მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდლობა; | ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; |
| არა | კარგი |
| დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო; | ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება |
| | |

დაკლებული კვირების რ-ბა: 2(ორი) კვირა.

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

| |
|---|
| მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; |
| დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; |
| დარღვევამდე, მატჩის მსაჯმა, თამაშის წესების ხშირი დარღვევების გამო, საერთო გააფრთხილება მისცა დამრღვევი მოთამაშის გუნდს. (თბ. „ლოკომოტივი“) |
| ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; |
| |

დამატებითი კვირების რ-ბა: არა



სანქცია

| | | |
|--|---|-----------------------------|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) | 2 (ორი) კვირა | წითელი ბარათი საკმარისია |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | 02/12/2021 | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი | 13/12/2021 (დიდი 10-ს მიმდინარე გრაფიკის მიხედვით) | |
| სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება | დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი სახის აქტივობა სათამაშო არეალში, ოფიციალურ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე. | |

| | |
|---|--|
| სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა | |
| U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა | |

| | | | |
|--------------------------|---|--------|------------|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშილი  | თარიღი | 01/12/2021 |
|--------------------------|---|--------|------------|

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.